# ავტობიოგრაფია

## სალომე სამხარაძე

2007 წელს დავამთავრე ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლა. ასევე, 2007 წელს ჩავირიცხე ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე. 2011 წელს მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2014 წელს სწავლა განვაგრძე ,,საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე. 2016 წელს მომენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ბაკალავრის პროგრამაზე სწავლის პერიოდში, 2010 წლის 28 აპრილიდან 2011 წლის 10 იანვრამდე, გავიარე სტაჟირების სრული კურსი საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2011 წლის 10 იანვარს, მუშაობა დავიწყე თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის სექტორში სპეციალისტის პოზიციაზე. 2011 წლის 7 სექტემბერს, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის სხდომის მდივნად. 2013 წლის 1 ოქტომბერს, ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, დავინიშნე მოსამართლის თანაშემწედ. 2016 წლის 5 მაისს, ამავე სასამართლოში დავინიშნე მოსამართლის თანაშემწედ - მთავარ კონსულტანტად. 2016 წლის 7 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, დავინიშნე მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე.

სასამართლო სისტემაში მუშაობის დროს, ხშირად ვესწრებოდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. მონაწილეობა მაქვს მიღებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტში: სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტი (USAID, 2010 წელი), ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში (USAID, 2018 წელი), მართლმსაჯულების ზაფხულის სკოლა (USAID, 2019 წელი).

2018 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ხოლო 2019 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2019 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალში გამოქვეყნდა, ჩემ მიერ, მომზადებული სტატია, სახელწოდებით - „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას“.

2019 წელს ჩავირიცხე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად. 2020 წელს შემაჯამებელი გამოცდის ჩაბარების შედეგად, დავასრულე  იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსი.

სალომე სამხარაძე

24.11.20